საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, კორპ. №25–ის მიმდებარედ ს/კ(01.10.07.004.067) საკადასტრო ერთეულზე მდებარე ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ბ და დ) ბლოკების არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე.

საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა არქიტექტორმა: გიორგი ბენდელიანმა

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია: "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ე მუხლის (მუხლი 47. "არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") შესაბამისად მომზადებული არქიტექტურული პროექტი.

საექსპრტო დასკვნა მოიცავს აღნიშნული არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით ("მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის მიხედვით.

1. შენიშვნები

1. საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რიალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

2. ტერმინები და განმარტებები

1. **წესები** - შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები

1. **შშმ** - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

3. პროექტის აღწერილობა.

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს, ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული №5177497; 09/11/2020. წლის მიწის ნაკვეთის გამყენების პირობები. პროექტის მიზანია ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (ბ და დ) ბლოკების დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო მიწის ნაკვეთი (5670 მ2) მქ.თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, IV მ/რ. კორპ. №25-ის მიმდებარედ, ნაკვეთი 04/025. საკ.კოდი: 01.10.07.004.067. ტერიტორია მდებარეობს დიდი დიღმის IV მ/რ-ში შიდა კვარტალურ სამანქანო გზებს შორის, მას მთლიან პერიმეტზე აკრავ გზები და თავისი კონფიგურაციით და მდებარეობით ერთ ცალკეულ უბანს წარმოადგენს. მიწის ნაკვეთი ქანობიანი რელიეფისაა სადაც დონეთა სხვაობა 504.26 მეტრიდან 506.86 მეტრამდეა, ტერიტორია თავისუფალია ქოველგვარი განაშენიანებისაგან, გვხდება ძველი დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობის საძირკვლის ფრაგმენტები და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები. ტერიტორიაზე ასევე გვხვდება ხე-ნარგავები, რომელთა ნაწილი ძველი შენობის საძირკველშია, პროექტის მიხედვით ხდება ნაწილის გადარგვა და მათი მოჭრა და ახალი ხე-ნარგავების დარგვა დენდროლოგიური პროექტის შესაბამისად.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო შენოები (ბ და დ) ბლოკები წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს. შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 36.95 მ-ია. (ბ) ბლოკის ნაგებობა 14 სართულიანია, რომლის 1 სართული წარმოადგენს მიწისძეშა სართულს -4.50 ნიშნული, სადაც განთავსებულია ავტოსადგომი. (დ) ბლოკის ნაგებობა 15 სართულიანია, რომლის 2 სართული წარმოადგენს მიწისძეშა სართულს -3.00 და -5.80 ნიშნულზე, სადაც განთავსებულია ავტოსადგომი. ±0.00 ნიშნულზე (ბ და დ) ბლოკებში განთავსებულია როგორც საცხოვრებელი ბინები ასევე სავაჭრო სივრცეები, ხოლო +3.40 ნიშნულიდან ზევით განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომლის სართულის სიმაღლე 3.05 მ. შენობა-ნაგებობებს გააჩნია ორი კიბის უჯრედი და ორი ლიფტი (დიდი და პატარა) შახტა, სადაც სახანძრო-სამაშველო და სასწრაფო დახმარების ბრიგადებს შეეძლებათ საკაცის განთავსება. შენობის გარე კედლები მოპირკეთებულია აბურისა და ტრავერტინის ფილებით, ხოლო სხვა დანარჩენი ნაწილი დამუშავებულია სხვადასხვა ფაქტურის ფაქტურიანი ფითხით, კარ-ფანჯარა გათვალისწინებულია თეთრი ფერის მეტალოპლასტმასისაგან, ხოლო კომერციულ სივრცეებში შავი ფერის ალუმინი. შავი ფერის ლითონის ფურცლისგანვეა დამზადებული წყალგამტარი მილები. კიბის უჯრედში მოწყობილი ცხაური და აივნის მოაჯირები ასევე შავი ფერისაა. ტერიტორია კეთილმოიწყობა, გამწვანდება. მოეწყობა ბუნებრივი ბალახი, დაირგვება ხე-ნარგავები.

პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობა-ნაგებობების ძირითადი სტრუქტურული სისტემა გადაწყვეტილია რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასით, რომელის საძირკველიც წარმოადგენს რ/ბ ფილას. სახურავი ბრტყელი გადახურვისაა, რომელიც არ არის გამოყენებადი. გარე კედლების შემავსებლად გამოყენებულია 20 სმ. სისქის ბლოკი. შენობების კონსტრუქცია **I-A** ტიპისაა.

4. ძირითადი ნაწილები

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება: (გ და დ) ბლოკების

საპროექტო (გ და დ) ბლოკების ობიექტებისთვის და მისი ცალკეული ნაწილებისთვის განსაზღვრული დაკავებულობები არის:

სწ-2 (311.3) მცირე საფრთხის შემცველი სასწყობე ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები"-ს. ეს დაკავებულობა (ღია ავტოსადგომი) მოწყობილია -3.00; -4.50 და -5.80 ნიშნულზე არსებულ სართულზე. **წესების** ძვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისთვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობების დატვირთვის ფაქტორი (18.6 მთლიანი).

დს (312.1) დამხმარე სათავსი, (ავტოსაშხეფი სისტემის ავზისა და ტუმბოს ოთახები) რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "ავზებს". ეს დაკავებულობა განთავსებულია -3.00 და -4.50 ნიშნულზე. სწორადაა შერჩეული დაკავებულობების დატვირთვის ფაქტორი (27.9 მთლიანი).

სვ (309.1) სავაჭრო ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "საცალო და საბითუმო მაღაზიებს". ეს დაკავებულობა (მაღაზია) განთავსებულია ±0.00 ნიშნულზე. **წესების** ძვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისთვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობების დატვირთვის კოეფიციენტი (2.8 მთლიანი).

სც-2 (303.4) საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც **წესების** მიხედვით მოიცავს "მრავალბინიან სახლებს". ეს დაკავებულობები (საცხოვრებელი ბინები) განლაგებულია ±0.00; +3.40; +6.45; +9.50; +12.55; +15.60; +18.65; +21.70; +24.75; +27.90; +30.85; +33.90; +36.95 მეტრი სიმაღლის ნიშნულებზე. **წესების** ძვეთავის 1004.1.2 მიხედვით ამ დაკავებულობებისთვის სწორადაა შერჩეული დაკავებულობების დატვირთვის კოეფიციენტი (18.6 მთლიანი)

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება: (გ და დ) ბლოკების

პროექტის კვლევის საფუძველზე (გ და დ) ბლოკების შენობა-ნაგებობები განისაზღვრა **I-A** ტიპის კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და სავსებით აკმაყოფილებს **წესების** 503 ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლის და ფართობის შეფასება: (გ) ბლოკის

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**სწ-2** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	1238.4
სიმაღლე	შეუზღუდავი	36.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (**დს** დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	47.5
სიმაღლე	შეუზღუდავი	36.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სვ დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	420.8
სიმაღლე	შეუზღუდავი	36.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სც-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	13
ფართი	შეუზღუდავი	8328,3
სიმაღლე	შეუზღუდავი	36.95

4. სიმაღლის და ფართობის შეფასება: <u>(დ) ბლოკის</u>

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სწ-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	1502.0
სიმაღლე	შეუზღუდავი	36.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (დს დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	65.2
სიმაღლე	შეუზღუდავი	36.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სვ დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	1
ფართი	შეუზღუდავი	326.1
სიმაღლე	შეუზღუდავი	36.95

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე 503 ცხრილის მიხედვით (სც-2 დაკავებულობით) დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	შეუზღუდავი	13
ფართი	შეუზღუდავი	8440,2
სიმაღლე	შეუზღუდავი	36.95

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება: (გ და დ) ბლოკების

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა (გ და დ) ბლოკების შენობა-ნაგებობების თვითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს "წესების" მოთხოვნებს, კერძოდ:

წესების 1021.2 ქვეთავის მოთხოვნის საფუძველზე ნაგებობებში მოწყობილია ორი შიბა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლით. ეს კიბები აკავშირებს ნაგებობების ყველა სართულს ერთმანეთთან. დაგეგმარებულია 1009.2, 1009.3, 1022.1 და 1022.3 ქვეთავების მიხედვით. ორივე შენობაში გზა-კიბე დაკავშირებულია დერეფნებთან საიდანაც შესაძლებელია მოხვედრა ყველა საცხოვრებელ ბინაში, ასევე დაკავშირებულია შენობებიდან გამოსასვლელთან. დაცულია გზა-კიბეებს შორის მანძილი **წესების** 403.5.1 ქვეთავის მიხედვით. ასევე დაცულია გზა-კიბის შემოზღუდვაში შესასვლელ გზა-კარებს შორის მანძილები **წესების** 1015.2.1 ქვეთავის შესაბამისად. ორივე შენობის გზა-კიბეებს მოწყობილიაქ ტამბურები 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლით.

ორივე შენობის გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას. გაღებულ მდგომარეობაში მათი სიგანეები არის მინიმუმ 0.82 მეტრის.

შენობებიდან გამოსასვლელები **წესების** 1027 ქვეთავის შესაბამისად მდებარეობს მიწის დონეზე და გადის შენობიდან გარეთ.

ორივე შენობის გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, გასასვლელიდან ყველაზე დაშორებული წერტილის გათვალისწინებით და აკმაყოფილებს **წესების** 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

5. გზა-კიბის და სხვა გასასვლელი საშვალებების გამტარუნარიანობის შეფასება: (გ და დ) ბლოკების

(გ და დ) ბლოკების შენობა-ნაგებობებში პროექტით გათვალისწინებულია ორი გზა-კიბე. **წესების** 1009.4 ქვეთავის მიხედვით, ორივე შენობის თვითოეული გზა-კიბის სიგანე არის 1.10 მეტრი. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო სახელურის გაბრძელების მანძილები სწორადაა დაგეგმარებული 1012.6 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბეების ბაძნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

ორივე შენობის სხვა გასასვლელი საშვალებები სწორედ არის დაგეგმარებული. დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს 1018.2 ქვეთავისა და 1005.3.2 ქვეთავის მოთხოვნებს. ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალებების ნაწილია) აკმაყოფილებს 1008.11 ქვეთავის მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება: (გ და დ) ბლოკების

(გ და დ) ბლოკების ორივე შენობა-ნაგებობებში, რადგან პირველი სართულის იატაკები მდებარეობს საავტომობილო გზის სიმაღლეზე **შშმ** პირი საავტომობილო გზიდან პირდაპირ ხვდება პირველი სართულის იატაკის ნებისმიერ წერტილში, მათ შორის ლიფტების ფოიეში. ლიფტებით აქვს შესაძლებლობა ნაგებობების ყველა სართულზე, ყველა საცხოვრებელ ბინაში მოხვდეს. ნაგებობების ყველა სართული და ყველა სივრცე მისაწვდომია. იგი სრულიად შეესაბამება **წესების** მე-11 თავის მოთხოვნებს.

7. ლიფტების შეფასება: (გ და დ) ბლოკების

(გ და დ) ბლოკების ორივე შენობა-ნაგებობებში მოწყობილია ორ-ორი ლიფტი, ორივე შენობაში ერთ-ერთი ლიფტი ისეა დაბეგმარებული, რომ შესაძლებელია მასში 60X2.15 ზომის საკაცის შეტანა. ლიფტების დაბეგმარებისას გამოყენებულია **წესების** 1702.4, 1109.7, 1007.4, 1007.2.1 ქვეთავის მოთხოვნები. ლიფტები უკავშირდება ორივე ნაგებობის სართულებზე არსებულ დერეფნებს. მათ ზედა ნაწილში მოწყობილია ლიფტის სამანქანე ოთახები, რომელებიც დაკავშირებულია გზა კიბეებთან. ლიფტების შახტები შემოზღუდულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლით. ორივე შენობის ლიფტები წესებთან სრული შესაბამისობითაა დაბეგმარებული და აკმაყოფილებს **წესების** მე-17 თავის მოთხოვნებს.

8. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება: (გ და დ) ბლოკების

(გ და დ) ბლოკების ორივე საპროექტო შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობას ხარისხი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ:

ფასადიდან ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს **წესების** 705.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

ორივე შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო, არამზიდი კედლები და ტიხრები შიდა, იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 601 ცხრილის მოთხოვნებს.

ორივე შენობის გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების** 602 ცხრილის მოთხოვნებს, იგი შედგება მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის კედლის ანაწყობით.

ორივე შენობის გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს 705.8 ცხრილს.

9. სახურავის ანაწყობის შეფასება: (გ და დ) ბლოკების

(გ და დ) ბლოკების ორივე სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია 601 ცხრილის მიხედვით. შენობების **I-A** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე საჭიროებს სახურავის 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს, თუმცა საპროექტო ნაგებობების სახურავი არის რკინაბეტონის ფილა და ისინი მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობისაა. სახურავის ზემოთ მდებარეობს ლიფტების სამანქანე ნაგებობა, რომელებიც უკავშირდება შიდა გასასვლელის გზა-კიბეს. სახურავსზედა ნაგებობები აკმაყოფილებს **წესების** 1509 ქვეთავის მოთხოვნებს. ორივე შენობის სახურავი წესებთან შესაბამისადაა დაბეგმარებული და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

10. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნის გამონაკლისების შეფასება: (გ და დ) ბლოკების

ვინაიდან (გ და დ) ბლოკების ორივე შენობა-ნაგებობებში სამი დაკავებულობაა 508.4 ცხრილის მიხედვით სწ-2; სც-2 დაკავებულობა სვ-საბან საჭიროებს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის გამონაკლისს. ამ შემთხვევაში გამონაკლისების შუნძცას ასრულებს სართულშუა გადახურვის რკინაბეტონის ფილები, რომელიც მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხისაა. **წესების** 420.3 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან იმონაკლისებიან 2 საათიანი ცეცხლმედეგობის კედლებით, რომელიც აკმაყოფილებს **წესების** 711 ქვეთავს. ორივე შენობის გამონაკლისები სრულად აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს.

11. ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასება: <u>(გ და დ) ბლოკების</u>

წესების 903.2.10 ქვეთავის მოთხოვნის საფუძველზე, (გ და დ) ბლოკების -3.00; -4.50 და -5.80 ნიშნულზე განლაგებული დახურული ავტოსადგომები აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. ავტოსაშხეფი სისტემის მონტაჟი უნდა განხორციელდეს NFPA 13 -ის მიხედვით.

წესების 905.1 ქვეთავის მიხედვით, (გ და დ) ბლოკების კიბის შემოზღუდულ სივრცეში მოწყობილია სახანძრო მილდგარების მისაერთებლები, რომლებიც უნდა დაყენდეს NFPA 14 -ის მოთხოვნების შესაბამისად.
წესების 906.1 ქვეკუნძტის მიხედვით ორივე ნაგებობის ყველა სივრცეში გარდა ბინებისა გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრები და გადანაწილებულია 906.3(1) ცხრილის შესაბამისად. პორტატული ცეცხლსაქრობი ორივე შენობაში უნდა შეირჩეს და მოეწყოს 906.2 ქვეთავის და NFPA 10 -ის მოთხოვნების შესაბამისად.

წესების 907.2.9 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით ორივე შენობაში სართულებზე დერეფნებში, ბინებში და სავაჭრო სივრცეებში დაყენებულია სახანძრო დაცვის სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემებს 907.5 ქვეთავის შესაბამისად.

წესების 907.2.9.2 ქვეთავის მოთხოვნის მიხედვით UL 217-ის შესაბამისი კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები ორივე შენობაში უნდა დაყენდეს 907.2.11.1 - 907.2.11.4 ქვეთავებისა და NFPA 72-ის მიხედვით.

12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის შეფასება: <u>(გ და დ) ბლოკების</u>

წესების 1602.3 ქვეთავის მიხედვით ავტოსადგომში წყალსადენი სისტემების მოწყობა აუცილებელი არაა, ხოლო (ა და ბ) ბლოკების ორივე შენობაში, სავაჭრო სივრცეებსა და საცხოვრებელ ბინებში განლაგებულია საჭირო რაოდენობების წყალსადენი სისტემები, რაც სრულიად აკმაყოფილებს **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, კორპ. №25–ის მიმდებარედ ს/კ(01.10.07.004.067) საკადასტრო ერთეულზე მდებარე ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (გ და დ) ბლოკების არქიტექტურული პროექტი სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები". ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე ექსპერტიზაში განსაზღვრული შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შესრულება. ექსპერტი არ არის პასუხისმგებელი შენიშვნებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობით გამოწვეულ შედეგებზე.

არქიტექტორი / ექსპერტი:

გელა ჩიხლაძე 05.08.2021 წ.

სერტიფიკატი

№ 2017-044

გადაეცემა

გელა ჩიხლაძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების

„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი





საქართველო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

ბაკალავრის დიპლომი

TSAA № 000307

თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ი ს

ფაკულტეტის 2007 წლის 24.07 გადაწყვეტილებით,

გ ე ლ ა ჩ ი ხ ლ ა ძ ე ს, დაბადებულს

1985 წლის 08.06, მიენიჭა

ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ი ს

ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ფაკულტეტის დეკანი

რექტორი

ბ.ა.

გაცემის თარიღი 2009წ. 04.12

ქ. თბილისი

სარეგისტრაციო № 000307

GEORGIA

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
A. KUTATELADZE TBILISI STATE
ACADEMY OF ART

BACHELOR'S DIPLOMA

TSAA № 000307

This is to certify that by the decision of 24.07.2007
of the
A r c h i t e c t u r e faculty
of the A. KUTATELADZE TBILISI STATE ACADEMY OF ART
Mr./Ms. G e l a C h i x l a d z e
born on 08.06.1985 was awarded Bachelor's Academic Degree
with a Major in the Architecture

Dean of the Faculty

Rector

Seal

ISSUED ON 04.12.2009

City TBILISI

REGISTRATION No. 000307

შ.პ.ს "არქ ლაინ"

"ARCH LINE" L.T.D

ქ. თბილისი რ.ურიდიას ქ. №77 Tbilisi r.uridias st. 77 ტელ/TEL : (+995) 557 70 38 21

ქ. თბილისი 27 მარტი 2020 წ.

ც ნ ო ბ ა

ცნობა ეძლევა გელა ჩიხლაძეს პ.ნ 01008024574, მასზედ რომ, იგი 2015 წლის 27 მარტიდან დღემდე მუშაობს შ.პ.ს "არქ ლაინ" -ში (ს.კ. 400141967) არქიტექტორად.

ცნობა ეძლევა საჯიროებისამებრ წარსადგენად.

შ.პ.ს "არქ ლაინ"

დირექტორი რ. ჯაფარიძე